თავისუფალი საქართველო

№21

11-17 ივნისი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

ჭიქა წყალი სისხლის განსაბანად

ანუ მიზეზები და შედეგები კრახისა, რომელსაც ისტორიულ გამარჯვებებად სახავენ

ნადიმი სისხლიან მდინარეში

"- ასეა კონფლიქტების ისტორია, ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, მისხალ-მისხალ მივდივართ, მივდივართ მაინც წინ, მივდივართ მაინც იქითკენ, რომ ბოლოს კონფლიქტი უნდა მოგვარდეს." - შეჰპირდა შევარდნაძე ხალხს 10 აპრილს საპარლამენტო, ცხადია, ისტორიული გამოსვლის დროს.

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მიუახლოვდა მშვიდობიანი კავკასიის იდეას, რომელიც, რატომღაც (მართლაც რატომღაც), სრულიად მოულოდნელი იყო მისთვის რამდენიმე წლის კი არა, რამდენიმე თვის წინ.

მელა, რომელსაც სულ უფრო მეტად ამსგავსებენ ბატს, რაკი ეშმაკობას ვეღარ ახერხებს, ჭურდობას მაინც არ ეშვება. მოპარული იდეების გაფუჭება, გამრუდება, პროფანაცია და შემდეგ გადაგდება - უზრდელი და დაკომპლექსებული ბავშვების საყვარელი სათამაშოა.

ნათელია, რომ ეს რუსულ-კავკასიური სამიტი პროპაგანდისტულ სახეს ატარებდა რუსეთში პრეზიდენტო არჩევნების წინ. ახლა ხომ ყველა შიშობს - ვაითუ უმწიფარმა რუსმა ხალხმა აირჩიოს ზიუგანოვი, რომელიც დახურავს ბანკებს, კაზინოებსა და ჯიხურებს; განა არ სჯობია ელცინი, რომლის საქმენი საგმირონი უკვე რა ხანია სისხლით იწერება.

კისლოვოდსკის წყლებს დაწაფებული ოთხი პრეზიდენტი ერომანვთსა და მსოფლიოს ჰპირდებოდა მშვიდობასა და სტაბილურობას მათ მიერ აფეთქებულ კავკასიის რეგიონში. თითოეულის სავიზიტო ბარათზე კონკრეტული მოვლენებია ასახული, თუმცა ხელწერა და ხშირად უშუალო შემსრულებელიც ერთი და იგივეა.

კავკასიური მშვიდობის კისლოვოდსკური მაგიდა რუსული ხიშტებით დაღვრილი სისხლის მდინარეში დგას და საეჭვოა, მის გარშემო შემოკრებილ პუბლიკას შეერგოს მირომეული კერი.

ინფორმაცია განსჯისთვის:

- ლევონ ტერ-პეტროსიანი - ღმაზროვანი იერით ბანალური პრიმიტივიზმის მქადაგებელი, ამჯერადაც სამაგალითოდ გამოირჩეოდა თვით დახავსებული პოლიტბიუროელი თავისი კოლეგების ფონზეც კი. 80-იანი წლების მიჯნაზე "მოძრაობა ყარაბაღის" ლიდერი და კავკასიაში პირველი ეთნოკონფლიქტის ინიციატორი, ნაციონალ-შოვინიზმისა და სეპარატიზმის წინააღმდეგ საყოველთაოდ გაჩაღებული კამპანიის მიუხდავად, თითქოსდა ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ, იგი მაინც შემორჩა პოლიტიკურ არენას პრეზიდენტის სტატუსით - ერთადერთი, "პერესტროიკული" პერიოდის ნაციონალური ლიდერებიდან.

- ედუარდ შევარდნაძე - ქრონიკული მარიონეტი; საბჭოთა კავშირის უკანასკნელი მოქალაქე; სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა "სისხლიანი კანალიზაციის" (ტერმინი სოლუნიცინის) მთავარ ოპერმუშაკად, 70-იან წლებში - ავღანეთში მეომარი საბჭოთა არმიის მომარაგებაზე გამოყოფილი თანხების კოორდინატორად კავკასიაში; შემდგომ მას დაეკალა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში ნიჩბოსანთა სპეცნაწილების შემოყვანა და მასიური მკვლელობის მოწყობა; შემდგომ საქართველოს ახლად ფეხადგმული სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებისა და გადატრიალების ორგანიზება, სამოქალაქო ომის გაჩაღება, სამეგრელოს დარბევის უშუალო ხელმძღვანელობა, აფხაზეთში სასაკლაოსა და ქართველთა გენოციდის უზრუნველყოფა ქართული მხრიდან, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში რესეთის მილიტარიზებულ ზონებზე დასტურის მიცემა. ბავშვობაში წერდა ლექსებს სტალინზე, ამჟამად პერიოდულად ყვავილებით ამკობს მის ძეგლს და უყვარს საუბარი დიდი ბელადის ფენომენზე, ცხადია, თავისი ფენომენის შემდეგ.

- ჰეიდარ ალიევი - აქვს საკმაოდ სერიოზული კუდები სუკი-ის, ახლო აღმოსავლეთის, ავღანეთის (ჯერ კიდევ ომამდელის); ნავთობის ძველი მაგნატი, პოლიტბიუროში ყველა ზემოხსენებული საკითხის კოორდინატორი, შევარდნაძის ერთადერთი რეალური კონკურენტი რეგიონალური სალაროს განაწილებაში; აზერბაიჯანის ხელისუფლებაში ასევე სამხედრო გადატრიალების გზით მოვიდა; ჩინებული მეოჯახე.

- ბორის ელცინი - იმპერიის პრეზიდენტი, რომლის მმართველობის დროსაც მოხდა რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო სპეცსამსახურების მიერ ყველა ზემოხსენებული კონფლიქტის ორგანიზება, დაიწყო ჩეჩნეთის ხელახალი დაპყრობა, მოეწყო ჩეჩენთა და ინგუშთა მასობრივი ხელახალი გენოციდი, დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირებები მოლდოვასა და ტაჯიკეთში; ორჯერ, აქედან ერთხელ შეიარაღებული გზით, იქნა განდევნილი რუსეთის საკანონმდებლო ორგანები, რაც - მეტად სახიფათო ანალოგიას ბადებს. ელცინის დემოკრატიულ იმიჯს უზრუნველყოფს კონტრასტული ფონი: ზიუგანოვის ზედმეტად გაწითლებული იერი და ჟირინოვსკის სკანდალურად ყვითელი კიტელი. რომ არა ეს მომგებიანი ანტურაჟი, უფრო მკვეთრად გამოჩნდებოდა, რომ თავად ელცინიც საკმაოდ წითელია (წარსულითაც და სპირტისგანაც) და საკმაოდ სკანდალურიც (ამ შემთხვევაში მხოლოდ სპირტისგან).

გარსონ, ნყალი პრეზიდენტისთვის

გასულ საუკუნეში პარიზის ბულვარის თეატრალურმა ლიდერმა, ეუენ სკრიბმა თავისი მოხდენილი კალმით დაასაბუთა, რომ ჭიქა წყალს ძალუძს შეცვალოს მოწინავე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები და გადაწყვიტოს არაერთი ქვეყნის ბედი. საეჭვოა, შევარდნაძემ იცოდეს ეს ბრწყინვალე კომედია, მაგრამ უტყუარი დიპლომატიური ალღო მას ისტორიული ეუსტებისკენ უბიძგებს.

კისლოვოდსკში გამართულ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის დროს შევარდნაძემ მართლაც ისტორიული ეუსტი გააკეთა: მან დაასწრო მოწყურებულ და წყლისკენ ხელგაწვდილ ტერ-პეტროსიანს და, ოფიციანტის სიმკვრცხლით, თავად ჩამოუსხა კავკასიური ნექტარი. ირემმა ირემს ბალახი მიაწოდა, პრეზიდენტმა პრეზიდენტს - მაცოცხლებელი სითხე.

ამ ეუსტშია დაფიქსირებული შევარდნაძის გახმაურებული ფენომენის მთელი არსი - მრემსახუროს უცხოს, მეზობელს, თუგინდ მტერს, მხოლოდ თავისი, მარტო თავისი და მუდამ თავისი მიზნებისთვის.

ნათელია, კვლავ დაგვაბრალებენ დეტალებით მანიპულირებას, უმნიშვნელო მოვლენების ჰიპერბოლიზებულ წარმოსახვას, მეტაფორიზმისკენ მიდრეკილებას. მაგრამ მხოლოდ ამ ერთ ეუსტში რომ ვლინდებოდეს შევარდნაძის პათოლოგიური სტელიტობის სინდრომი, სალაპარაკოც არაფერი იქნებოდა... ეუსტი, დროულად გაკეთებული საჭირო ადგილას და საჭირო მოწმეების თვალწინ, მხოლოდ გამადიდებელი შუშით დანახული წვეთია, რომელშიც ზედმიწევნით ჩანს დაავადების გამომწვევი მიზეზები და ამის შემდეგ ძნელი არ არის მისი შედეგების განსაზღვრაც.

ვინ იცის, იქნებ ტერ-პეტროსიანისთვის მირომეული წყალი ახალი ეპოქალური ძვრების დასაწყისია... მაგრამ რა ძვრების - საკითხავი აი, ეს არის.

რომანოზ საგინაშვილი

ტრანზიტის მონოპოლიას შევარდნაძეების ოჯახური კლანი ფლობს

როგორც იქნა, ქართულ ნახევრად ოფიციალურ პრესას დასცდა ოიროდ სიტყვა იმაზე, რაც ყველამ კარგად უწყის: თურმე საქართველოში ნავთობის შემოტანას კურირებს ერთი (კვლავ ერთი) ადამიანი, "რომლის არ ითქმის სახელი", მაგრამ იქვე მითითებულია -კულუარებში არავინ მალავს, რომ ეს ადამიანია შევარდნაძის დისშვილი ("დრონი", № 42, 4 ივნისი, 1996).

ყინული დაიძრა, საპარლამენტო ვნებები კი გრძელდება. "ხალხის რჩეულნი" აღშფოთებას გამოხატავენ ბენზინის ფასების აწევასთან დაკავშირებით. ნათელია, რომ ეს ბოლო "რეფორმატორული ნაბიჯი" ბევრს ძლიერ დარტყმას მიაყენებს. საქართველოს საქმიანი წრეების წარმომადგენლები თანდათანობით თავიანთი საკლუბო პიჯაკების ფერს იძენენ. მსოფლიო საკალუტო ფონდის წარმომადგენელთან, შადმან ჯალავისთან ახალი საგადასახადო ტარიფების შემოღებასთან დაკავშირებული შეხვედრის დროს, ეს ცისარტყელას სპექტრი - ხასხასა მწვანედან მკაფიო ჟოლოსფრამდე - სრულად გამოვლინდა და ჯულკანური ამოფრქვევის სახე მიიღო. "ახალი ქართველები" შფოთავენ და სამართლიანადაც, თუმცაღ დაგვიანებით. ყულფი, რომელიც მათ კისერზე იკრება და დახრჩობას უქადის ქართული ბიზნესის გენიოსებს, თავად ჩამოიცვეს ჯერ კიდევ მაშინ, ოდეს თბილისს ზღვაზე აწყობდნენ სადღეღამისო მოციონებს.

რეალია დღეს ამგვარია:

შევარდნაძეების ოჯახური კლანი არა მხოლოდ საქართველოში ნავთობის შემოტანის პატენტის ერთპიროვნული მეპატრონეა, არამედ საერთოდ - მთელ ლეგალურ და არალეგალურ, ნარკობიზნესის ჩათვლით, სატრანზიტო გადაზიდვებზე მონოპოლიის მფლობელიც. შევარდნაძის ძმისშვილი (და არა დისშვილი) პიროვნულად აქ არაფერ შუაშია.

ამასთან, საგულისხმო და საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ საქმე ეხება **ნუგზარ შევარდნაძეს** და არამც ეს არამც ცეზარ შევარდნაძეს, როგორც ეს ბევრს ჰგონია. ამ უკანასკნელმა უკვე მოახერხა ოჯახური ბიზნესის დისკრედიტირება და მევალეებისგან გაქცევაც კი მოუხდა. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მისი როლი თავიდანვე განტვეების ვაცის ამპლუაში იყო ჩაფიქრებული და იქნებ, ამის დროც დადგა. იმხანად კი ბიძამ დიდსულოვნად გაუწოდა დახმარების ხელი ძმისშვილს და საზღვარგარეთული სამალავიდან სამშობლოში დაბრუნა - თავისი მეურვეობის ქვეშ.

ამასობაში კი, რამდენიმე საზღვარგარეთული და ერთობლივი ფირმისა და ბანკის მიღმა წარმატებით მუშაობს სატრანზიტო კორპორაცია, რომლის უზარმაზარი თანხები მიედინება რამდენიმე მიმართულებით: გავლენიან მფარველებთან ჩრდილოეთსა და დასავლეთში, რამდენიმე მნიშვნელოვან სარეზერვო ანგარიშზე. არაოფიციალური მონაცემებით, არალეგალური ტრანზიტის შედეგად ამოღებული თანხების გადარიცხვის ოპერაციები ხორციელდება მაიამის ე.წ. სამრეცხაო ბანკების გავლით. გასუფთავებული ფულის ჩარიცხვა ხდება ევროპისა და ამერიკის რამდენიმე წამყვან ბანკში.

ნუგზარ შევარდნაძე, რომელიც ბიძის მიერ გაკვალულ გზაზე პირადად ამყარებს კონტაქტებს არა მხოლოდ დასავლეთის, არამედ აღმოსავლეთის (და ეს, იქნებ, პრიორიტეტულიც იყოს) სხვადასხვა ფინანსურ (ხშირად ოდიოზურ) წრეებთან, კოორდინირებას უწევს მთელ ამ ოპერაციებს.

საგულისხმოა, რომ ამავე ინფორმაციების თანახმად, სატრანზიტო კლანის ინტერესების თავმოყრის ერთ-ერთ წერტილად მიჩნეულია საფრანგეთი. საყურადღებოა, რომ შევარდნაძის მიერ ამ ბოლო დროს საფრანგეთის ტელევიზიის პირველი არხისთვის მიცემულ ინტერვიუში არაორაზროვნად გაიუღერა საფრანგეთის შესაძლო მონაწილეობამ "საუკუნის პროექტში".

კორესპონდენტის კითხვაზე, საფრანგეთს ექნება თუ არა წილი ბაქოს ნავთობის გადაზიდვაში, - შავი ოქროს მაგნატი ფრთხილად პასუხობს:

შავი ოქრო ჩემი თეთრი ბიძისთვის

- ეს საფრანგეთის საქმიანი წრეების დაბანდებაზე იქნება დამოკიდებული. უახლოეს ხანებში დიდი ნავთობის ტრანსპორტირების საკითხი დადგება და გამორიცხული არაა, რომ სატრანზიტო ქვეყნად კვლავ საქართველოს აირჩევენ.

ინფორმირებული დამკვირვებლები თვლიან, რომ ეს უშუალოდ უკავშირდება შვილის პრესტიჟულ მისიას იუნესკო-ს კარზე: პაატა შევარდნაძე, კვლავ არაოფიციალური ინფორმაციების თანახმად, ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოძრავი კაპიტალის მფლობელია საფრანგეთში და მომავალში ამ მონოპოლური კორპორაციის მემკვიდრე გახდება ...სავსებით შესაძლებელია, საქართველოს ტახტისაც.

* * *

რას უქადის შევარდნაძეთა კლანის ბატონობა საქართველოსა და მის საქმიან წრეებს? ყველასთვის ნაცნობ პერსპექტივას - მთელი ქვეყანა სატრანზიტო კორპორაციის მომსახურე პერსონალის ფუნქციას იტვირთებს. ამასთან, შედარებით მდიდრებსა და ღატაკებს შორის მხოლოდ პირობითი სხვაობა იქნება. სატრანზიტო მონოპოლიას არ სჭირდება და ხელსაც კი უშლის ქვეყნის შიგნით წარმოება, სოფლის მეურნეობის განვითარება, თვით მსხვილი დარგთაშორისი ვაჭრობაც კი: მხოლოდ წვრილმანი ბიზნესი და მეისრეების მთელი არმია (ნავთობკონსორციუმის პრეზიდენტის, გია ჭანტურიას მსგავსთაგან), რომელიც დროთა განმავლობაში შეეწირება მაგისტრალურ ხაზზე პატარ-პატარა შეფერხებებსა თუ დიდ კატასტროფებს.

აი, შევარდნაძის საგზაო ისტერიის რეალური მიზეზი: ავტო და სარკინიგზო მაგისტრალების დაცვის საბაბით, ბანდიტური რაზმებისა და რუსეთის ჯარების შეყვანა ყველგან, სადაც კი სიტუაცია ოდნავ არ ექვემდებარება სატრანზიტო იდეოლოგიის კონტროლს - აფხაზეთში, სამეგრელოში, თუ საჭრო გახდა, სხვაგანაც.

ასე რომ, "დიდი პოლიტიკოსი" რეალურად, განდიდების მანიით შეპყრობილი ერთი მაფიოზია, თანაც სხვის ჯარზე დამოკიდებული, სხვისი მითითებებით მოქმედი, სხვის საბანკო სისტემებზე ჩამოკიდებული. მისი "გენიის" ფენომენი მხო ლოდ იმაშია, რომ მან ძალადობით მოიპოვა უფლება ფლობდეს ნამდვილ ფასეულობას, რასაც ჰქვია საქართველო.

ჯერ კიდევ არ არის დაკარგული შანსი, ეს -განძი გამოვგლიჯოთ ხელიდან პრიმიტიულ გაუმაძღარ ბაცაცებს. ამისთვის სულ ცოტაა საჭირო - გვიყვარდეს საშობლო. სარგებელიც ამ სიყვარულშია

ანა ჭავჭავაძე

დევნილ დეპუტატებს კვლავ აპატიმრებენ

6 ივნისს, საღამოს 9 საათზე, საკუთარ ბინაში დაკავეს საქართველოს რესპუბლიკის დევნილი უზენაესი საბჭოს წევრი, ყაზბეგის პრეფექტი, პოლიტპატიმარ ზაზა წიკლაურის ძმა, მირიან წიკლაური. დაკავება, ყაზბეგის პროკურატურის მოთხოვნით, სანქციის გარეშე, განახორციელა თბილისის პოლიციის სამმართველოს ჯგუფმა, რომელსაც თან ახლდა გამომძიებელი მაშუა დადიანი. საქართველოს ტელევიზიის მიერ გადმოცემული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, მირიან წიკლაურს ბრალი ედება სსკ 96' მუხლით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცება) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ, რომ მან თითქოს მიითვისა 1991 წელს ბანკიდან გამოტანილი თანხა 1 მილიონი რუსული მანეთის ოდენობით. ამავე ინფორმაციით, მირიან წიკლაური თურმე იძებნებოდა 1992 წლის 18 აგვისტოდან, როდესაც იქნა აღძრული სს საქმე, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, იგი არსადაც არ დამალულა და მთელი ამ წლების განმავლობაში ლეგალურად ეწეოდა პოლიტიკურ მოღვაწეობას.

ორი დღის განმავლობაში მირიან წიკლაური დაკავებული იყო თბილისის პოლიციის სამმართველოში, სადაც მას 8 ივნისს ჩამოაკითხა დაპატიმრების სანქციით აღჭურვილმა ყაზბეგის რაიონის პროკურატურის თანამშრომელმა და გადაიყვანა რაიონულ განყოფილებაში. განდევნილი პრეფექტის დაპატიმრებამ ყაზბეგში მოსახლეობის ვნებათაღელვა გამოიწვია და ბადრაგის დაცვის ქვეშ მყოფ მირიან წიკლაურს პოლიციის განყოფილებასთან შეეგება ხალხის დიდი ჯგუფი, რომელიც მოითხოვდა მის განთავისუფლებას.

ასე რომ, ხალხს ახსოვს და უყვარს თავისი პრეფექტები...

შევარდნაძეს სჭირდება იოსელიანები

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების სცენიდან ბევრისთვის მოულოდნელად სწრაფად გაქრა ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური ფიგურა ჯაბა იოსელიანი. ამ მოვლენამდე, საქართველოს ისტორიის ბოლო ხუთწლიან სისხლიან პერიოდში იმდენი რამ იყო დაკავშირებული მის სახელთან, რომ ერთგვარ გაოცებასაც კი იწვევს ის დუმილი, გულგრილობა, ინფორმაციის სიმწირე, რომელიც ახლავს ყოფილი "სახელმწიფო მოღვაწის" საქმის წინასასამართლო ძიებას. იოსელიანის დაპატიმრებით, თითქოს ყველამ შვებით ამოისუნთქა და ყველამ დაივიწყა იგი. მაგრამ როგორც ჩანს, მას არ ივიწყებს შევარდნაძე. ყოველ შემთხვევაში, ამაზე მეტყველებს ის ჭორ-მართალი ამბები, რომლებიც დროდადრო იპყრობს საზოგადოების ყურადღებას.

კარგა ხანს ჯიუტად დადიოდა ხმები იმის შესახებ, რომ შევარდნაძემ საპატიმროში მოინახულა იოსელიანი და ჭქონდა მასთან პირადი საუბარი. ამას დაემატა შევარდნაძის მრავლისმთქმელი საჯარო განცხადება, სადაც იგი შეწყალებას აღუთქვამს მისი სიცოცხლის ხელმყოფ პირებს იმ შემთხვევაში, თუ მათ სასამართლო სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს.

საქართველოში რეჟიმის მოწინააღმდეგეთა სასიკვდილო განაჩენების მთელი სერიალის ფონზე, რასაც ხელისუფალთა მხრიდან სრული გულგრილობა სდევს, შევარდნაძის ზემოხსენებული განცხადება უდავოდ ორაზროვან დატვირთვას იძენს.

იოსელიანის რეაქციაც სრულიად ადეკვატურია. იგი ასევე ორაზროვნად დუმს.

დუმს მიუხედავად იმისა, რომ მისი აგრერიგად ნალოლიავები და დაფრთიანებული "მხედრიონელები" დღეს იმ სისასტიკის ობიექტად არიან ქცეულნი, რაც ასე უხვად დათესეს თავად, უმაღლეს ხელისუფალთა მითითებით და წახალისებით.

ერთი რამ მეტად სარწმუნოდ ჩანს - შევარდნაძეს გასაწირად არ ემეტება იოსელიანი. ჯერ კიდევ არ ემეტება. შესაძლოა, კიდევ დასჭირდეს მისი სამსახური. ამდენი ორპირობისა და თვალთმაქცობის მნახველთ, არც ეს შესაძლო პერსპექტივა უნდა გვაკვირვებდეს. ყოველ შემთხვევაში, იოსელიანი არანაირად არ ჰგავს სასიკვდილოდ გაწირულ პატიმარს, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს აყრილი ხელისუფლების წევრის შესაფერისი პრივილეგიები. ბატონ იოსელიანზე ჯერაც გაპიროვნებულია წყნეთის სამთავრობო აგარაკი. თუმცა, რა ვუყოთ, რომ მის ყოფილ აპარტამენტებში ახლა ელდარ შენგელია სახლობს. იოსელიანის შერყეული ჯანმრთელობის გამამგრებლად, დროებით ის სამოთახიანი აგარაკიც იკმარებს, რომელიც ძველის სანაცვლოდ გამოუყვეს შევარდნაძეზე ტერორისტული თავდასხმის ერთ-ერთ ორგანიზატორს.

პარადოქსების ფეიერვერკს საქართველოში ბოლო არ უჩანს.

შევარდნაძეს მანამდე სჭირდებიან იოსელიანები, სანამ რაღაც უჭირს, სანამ მყარად ვერ გრძნობს თავს სახელმწიფოს სათავეში, რომლის დამორჩილება ძალადობისა და ღია ტერორის გზით უხდება, სანამ ოდნავი საფრთხე მაინც ემუქრება მისი პოზიციების სიმტკიცეს.

ჯაბა იოსელიანის საბოლოო განაჩენის დრო ჯერ არ დამდგარა.

თ. რეხვიაშვილი

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, არსებობს ბრძანებულების პროექტი თბილისის საზღვრებში მოქცეული მიწების შემდგომი გამოყენების შესახებ, რომელსაც ხელს აწერს ე. შევარდნაძე. ეს პროექტი, არსებითად, აუქმებს საკუთრების უფლებას მიწაზე, რადგან თბილისის შემოგარენში არსებული სოფლების ტერიტორიებს მერიის და ქალაქის მთავარი არქიტექტორის მფლობელობაში აქცევს.

ჩვენ შევხვდით სოფელ დიღმის მიწის რეფორმის კომისიის თავმჯდომარეს,

ბატონ ნოდარ ლასურაშვილს

კორესპონდენტი: - ეხება თუ არა ეს პროექტი სოფელ დიღომს?

ნოდარ ლასურაშვილი: - კანონის მიხედვით, ეს ბრძანებულების პროექტი დიღომს არ უნდა ეხებოდეს, რადგან 1990 წლის 12 სექტემბრის № 494 დადგენილებით, დიღომი გამოყოფილია თბილისის პერსპექტიული საზღვრებიდან ცალკე საზღვრით. უშუალოდ არასაჭირო დაწესებულებათა და სამხედრო ობიექტების სხვა რეგიონებში გატანის ხარჯზე;

3. ქალაქ თბილისის შემოგარენში არსებულ ყველა სოფელს მაქსიმალურად აძლევს შემდგომი განვითარების საშუალებას, ჩამორთმეული საკარმიდამო ფონდისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაბრუნებით.

ეს საკითხი მიღებულია პრეზიდიუმზეც, რომლის სხდომას უძღვებოდა ქვილითაია, ხოლო საკითხი გაიტანა კომისიის თავმჯდომარემ, მშენებლობის მაშინდელმა მინისტრმა გურამ მირიანაშვილმა. პრეზიდიუმის სხდომას მეც ვესწრებოდი.

შემდგომ ამისა მიღებულია ქალაქისგან სოფელზე მიწის გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტი; გამიჯნულია საზღვარი. ეს საზღვრები დაფიქსირებულია სათანადო რუკაზე, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები, "საქმიწპროექტის" წარმომადგენელი, თვით ქალაქის ამჟამინდელი მთავარი არქიტექტორი ოთარ არველაძე, რომელიც დღეს სრულიად საწინააღმდეგო პროექტის შემუშავების ინიციატორია.

საქმე ის გახლავთ, რომ ბრძანებულება მზადდება იმისთვის, რათა დიღომი ძალით შეიყვანონ თბილისის საზღვრებში, მასზე გაავრცელონ ქალაქის იურისდიქცია. ამ პროექტის მომზადება ხომ ქალაქის მერიის მიერ დიღმის მიწების მიტაცების სურვილის გამო დაიწყო. № 494 დადგენილების გაუქმებასთან ერთად გაუქმდება საზღვრები თბილისსა და დიღომს შორის. სოფლებს შეეხლუდებათ საკუთარი მიწებით სარგებლობის უფლება, რაც ხელ-ფეხს გაუხსნის მერიას დიღმისა და ქალაქის მიმდებარე სხვა სოფლების ტერიტორიების დაუბრკოლებლად მიტაცებაში. ბუნებრივია, მიტაცებულ ტერიტორიებს მერია შეიტანს გენერალურ გეგმაში. ამის შემდეგ გამოიყენებს პოლიციას, ჯარსაც კი, ვითომ კანონიერების დასაცავად და აყრის სოფლებს თავისი სამკვიდრებელი მიწებიდან.

საქართველოში კერძო საკუთრებაში ისედაც მცირე მიწაა გაცემული და დაუშვებელია ვინმესთვის მისი წართმევა. არის ასეც, როცა მიწას საბაზრო ფასი დაედება და, საჭიროების შემთხვევაში, მერიას მოუწევს ამ მიწის ყიდვა მოსახლეობისგან. ამისთვის საჭიროა, სულ მცირე, მოსახლეობას თავისი საკუთარი მიწის გაყიდვის სურვილი ჭქონდეს. მაგრამ რადგან მერია ფიქრობს, რომ ყიდვა უფრო ძვირი დაუჯდება, ვიდრე ძალადობა, ამიტომ ძალადობის გზას ირჩევს თავიდანვე.

კორ. - რა ცვლილებებს გამოიწვევს პერსპექტივაში 1990 წლის დადგენილების გაუქმება?

ნ.ლ. - უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, თუ რა იყო ამ დადგენილებაში სასიკეთო ჩვენი (და არა მარტო ჩვენი) სოფლისთვის, აგრეთვე თბილისისთვის და, საერთოდ, მთელი ქვეყნისთვის:

1. ეს დადგენილება კრძალავს ქალაქ თბილისის საბინაო მშენებლობისთვის ახალი ტერიტორიების ათვისებას, რაც აფერხებს თბილისის ხელოვნურად ზრდის პროცესს;

2. ითვალისწინებს თბილისის ტერიტორიების დეფიციტის ლიკვიდირებას მისთვის ბით.

სწორედ ამ პუნქტმა მისცა ქალაქის პერსპექტიულ საზღვრებში მოქცეული სოფლების მოსახლეობას საშუალება, დაეკანონებინა მიწის სარეფორმო ფონდი პირად საკუთრებაში.

ეს არის ეროვნული სულით განმსჭვალული დადგენილება, რომელიც გულისხმობს თბილისის ჰარმონიულ განვითარებას ისე, რომ არ იყოს დარღვეული დემოგრაფიული წონასწორობა. მაგალითად, ამ დადგენილების მე-19 პუნქტით გათვალისწინებულია მარნეულში თბილისის ქალაქ-თანამგზავრის შექმნის შესაძლებლობის მოსინჯვა. ეს გამოიწვევს მარნეულში დემოგრაფიული ბალანსის გაწონასწორებას.

ყველაფერი ერთად სასიკეთოა სოფლისთვისაც, ქალაქისთვისაც და გარდუვალად სასიკეთოა მთელი ერისთვის.

კორ. - როგორია ცალკეულ უწყებათა დამოკიდებულება ამ პროექტის მიმართ?

ნ.ლ. - ქალაქის მერიისგან დიღმის მიწების მოთხოვნის შემდეგ, სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა (ბრძანება 16.03.96, №275) შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა ადგილზე შეესწავლა საკითხი დინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებით და მიეღო გადაწყვეტილება ოცი დღის ვადაში.

კომისიის წევრთა მოსაზრებანი გაიყო. ლეკიშვილი, არველაძე, ჩაჩავა, კურცხალია და შოშიტაიშვილი მოითხოვენ სოფლებისთვის მიწის წართმევას; სოფლის მეურნეობის სამინისტრო (მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ჩიკვილაძე) მიიჩნევს, რომ აუცილებელია ქალაქის შემოტევის შეჩერება, სასოფლო სავარგულების შენარჩუნება და სოფლების გადარჩენა. თუმცა, დეპარტამენტის თავმჯდომარე ზ. გეგეჭკორი აცხადებს, რომ მან ვიზა მისცა ბრძანებულების ხელნაწერ პროექტს. მცხეთისა და გარდაბნის გამგებელთა სურვილია, არ დაკარგონ თავიანთ რაიონში შემავალი მიწები, აიცილონ ხელისუფლებას სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უკმაყოფილება და გულისწყრომა, მაგრამ მათ არა აქვთ შესაძლებლობა წინ აღუდგნენ ბრძანებას; ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრი ჩხენკელი მოითხოვს ამ ტერიტორიების ქალაქის იურისდიქციაში გადასვლას; ნინო ჩხობაძის, ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის მინისტრის წერილობითი აზრი ჩვენ არ ვიცით, მაგრამ პირადი შეხვედრებისას მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს მიწები აუქციონზე უნდა გაიყიდოს.

ამათთაგან არავის, არც ერთხელ, არ უსვენებია, რომ დიღომი ქალაქის პერსპექტიულ საზღვრებში აღარ შედის და ცალკე საზღვრით არის გამოყოფილი.

კორ. - ქვეყნისთვის, რომელიც ასეთ უმძიმეს ეკონომიკურ ვითარებაშია, ცხადია, ეს გეგმა დიდ მუნიციპალურ მშენებლობებს არ უნდა გულისხმობდეს - ალბათ, რეალურად საუბარია ამ მიწების კერძო პირებზე გაყიდვაზე.

ნ.ლ. - რა თქმა უნდა. ვინ უნდა აწარმოოს მშენებლობა? გლეხობას დღეს არც მიწის ყიდვა შეუძლია და არც მშენებლობის წარმოება. მიწა უნდა იყიდონ ფულის მქონე კერძო პიროვნებებმა, ან ფირმებმა. მშენებლობაც მათვე უნდა აწარმოონ. ეს მშენებლობა მოხდება ქალაქის მერიის კონტროლის ქვეშ. მოგეგმაში დარჩებიან: ქალაქის მერია, არქიტექტურის დეპარტამენტი, ახალი მეპატრონეები, ფირმები (ნაწილი შინაური, ნაწილი "გარეული"), ხოლო დაზარალდება სოფლის მოსახლეობა და, აქედან გამომდინარე, ქალაქის მოსახლეობაც.

კორ. - შეიძლება, რომ ამ პროექტის ამოქმედებამ ქალაქის პერსპექტიული განვითარების ზონაში მოქცეული სოფლების მოსახლეობასთან მიმართებაში გამოიწვიოს მიწაზე საკუთრების უფლების გაუქმება?

ნ.ლ. - თუ ვიგულისხმებთ, რომ არსებული ნაკვეთები 1996 წლის 11 თებერვლის № 166 ბრძანებით უკვე ითვლება კერძო საკუთრებად, ამ პროექტის ბრძანებულებად გამოსვლის შემდეგ, მოსახლეობაზე გაცემული ეს მიწები ყოველ წუთში შეუძლია ქალაქის მერიამ ჩამოართვას კანონიერ მფლობელს და დაიკარგოს მათი უფლებები საკუთრებაზე. ვერავითარი კომპენსაცია ვერ აანაზღაურებს ამ დანაკლისს, რადგან ეს მხოლოდ მიწის ფლობის უფლება კი არა, მიწის ამ მონაკვეთზე პიროვნების არსებობის უფლებაა.

კორ. - რახან დადგა საკითხი თბილისის ფარგლებში მოქცეული მიწების შემდგომი გამოყენებისა ქალაქის გარშემო მდებარე სოფლების შეზღუდვის ხარჯზე, საფიქრებელია, რომ ახლო მომავალში იგივე მოხდება სხვა ქალაქების გარშემო განლაგებული სოფლების მიმართაც.

ნ.ლ. - ახლო მომავალში კი არა, თბილისის მიბაძვით, ეს პორცესი სხვა ქალაქებში ახლავე, ელვისებურად დაიწყება. როგორც ზემოთ აღვნიშნე, რესპუბლიკის მიწის მხოლოდ მცირე ნაწილია მოსახლეობის კერძო საკუთრებაში გაცემული. ქალაქის გაფართოების ასეთი პროცესი ამ ისედაც მცირე ნაწილს კიდევ უფრო შეამცირებს.

შემდეგში, ღმერთმა დაგვიფაროს, მსგავსი რამის გაკეთება შეიძლება სოფლის მმართველებმაც მოიწადინონ, რაიმე ახალი კანონის საფუძველზე. მაშინ რაღა დარჩება საკუთარ მფლობელობაში მიწის მესაკუთრეს? დაუშვებელია, რომ მოსახლეობაზე გაცემულ სარეფორმო ფონდს რაიმე მოაკლდეს.

მე მოვუწოდებ ყველას, ვინც დაინტერესებულია არამარტო საკუთარი სამკვიდროს შენარჩუნებით, არამედ საქართველოს ბედითა და ჩვენი საერთო მომავლით, არ მისცეთ საშუალება ამ ბრძანებულების გამოსვლას, რადგან მისი ამოქმედების შემთხვევაში, უმძიმეს შედეგებს ვიხილავთ საქართველოს ყველა ქალაქის ირგვლივ.

მრუდე ინტერესების საუფლო

რუსეთის საპრეზიდენტო სკამი უკვე დაკავებულია

რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებამდე [illegible] უკვე გამოიკვეთა პრეზიდენტობის ორი ყველაზე რეალური კანდიდატი - ბ. ელცინი და გ. ზიუგანოვი (თუმცა, ფარ-ხმალს არც დანარჩენები ყრიან და თავიანთი მწირი შანსების მიუხედავად, არ აპირებენ "ბრძოლის ველის" დატოვებას). მათი დაპირისპირება წინასაარჩევნო პერიოდში სულ უფრო მკაფიოდ ავლენს ქვეყანაში შექმნილ წინააღმდეგობებს. მართალია, ძველსა და ახალ მმართველობას (დემოკრატებსა და კომუნისტებს) შორის პრინციპული სხვაობა არაა, მაგრამ რამდენადაც "ახლები" საკუთარი თავისთვის შერჩეული "ნათლობის" სახელით საკმაოდ ხმამაღალ პრეტენზიებს აცხადებენ დემოკრატიის, ჰუმანიზმის, ცივილიზებული ნორმებისა და პრინციპების ერთგულებაზე, შესაბამისად მათი სააგიტაციო-პროპაგანდისტული მანქანა გაცილებით უფრო ეფექტურად უნდა მოქმედებდეს. მაგრამ დღეს უკვე იმდენად გაშიშვლებულია მათი ჭეშმარიტი სახე, რომ კომუნისტებს, მათთან შედარებით, ბევრად უფრო მყარი პოზიციები აქვთ, უფრო პატიოსნად და "ალალ-მართლად" გამოიყურებიან. მოსახლეობისთვისაც მათი არგუმენტები არსებული მმართველობის წინააღმდეგ საკმაოდ დამაჯერებელი და დასაბუთებულია. "დემოკრატები" ამას კომუნისტური დემაგოგიის ნიმუშებს უწოდებენ, იხსენებენ ბნელ ბოლშევიკურ წარსულს, გულაგებს, კომუნისტთა მიერ ჩადენილ დანაშაულობებს... მაგრამ ეს თემა დღეს, "დემოკრატთა" ავტორობით ჩადენილ დანაშაულთა ფონზე, იმდენად გაცვეთილი და არაპროპორციულია, რომ ამომრჩევლშიც და თავად კომუნისტებშიც ირონიულ ღიმილსღა იწვევს, "დემოკრატთა" უსუსურობის კიდევ ერთ გამოვლინებად აღიქმება; მით უმეტეს, რომ მსგავსი არგუმენტების მოსაძებნად დემოკრატების წინააღმდეგ, კომუნისტებს შორს წასვლა არ სჭირდებათ. ისინი რუსეთის დღევანდელ ხელისუფალთ მართვის უუნარობაში, არაკომპეტენტურობაში, ქვეყნის ინტერესების ღალატში სდებენ ბრალს და შესაბამის არგუმენტებსაც ასახელებენ.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტები აშკარად გრძნობენ ამომრჩეველთა დიდი ნაწილის რეალურ მხარდაჭერას, თავადვე არ არიან დარწმუნებულნი გამარჯვებაში, ვინაიდან ხედავენ, რომ ოფიციალური ხელისუფლება მზადაა წავიდეს ნებისმიერი დონის ფალსიფიკაციაზე. "დემოკრატებში" ეს განსაკუთრებულ სინდისის ქენჯნას არ გამოიწვევს.

გარდა ამისა, "დემოკრატები" მაქსიმალურად იყენებენ იმ პრივილეგიას, რომელიც, წესისამებრ, ხელისუფლებაში მყოფ ძალას გააჩნია წინასაარჩევნო პერიოდში. რუსეთში, ისევე, როგორც ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში, არჩევნების დროს ყველა კანდიდატის თანაბარ პირობებში ყოფნა მეტად პირობით, ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ბ. ელცინი ძალზედ უხვად სარგებლობს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობით - რაც შეიძლება უკეთესად ეჩვენოს ამომრჩეველს - მოგზაურობს დაუსრულებლად, ხვდება ამომრჩევლებს რუსეთის ყველა კუთხე-კუნჭულში, ერთმანეთის მიყოლებით დგამს ძნელად ამოსაცნობ პოლიტიკურ ნაბიჯებს, მართალია, არცთუ შედეგიანს და ჭკვიანურს, მაგრამ მაინც ახალს და მნიშვნელოვანს...

რუსეთის სტრატეგიული პროგნოზების ცენტრის მესვეურთა აზრით, ამ მოგზაურობებმა ბევრად განაპირობა მისი რეიტინგის ზრდა (თუმცა, ჩვენთვის უკვე კარგადაა ცნობილი ამგვარი პროგნოზებისა და გამოკვლევების პირუთვნელობა)...

ვარაუდობენ, რომ ბ. ელცინი არჩევნების პირველსა და მეორე ტურებს შორის კოალიციას შექმნის რუსეთის სხვა "დემოკრატიული" ძალების წარმომადგენლებთან (იავლინსკი, ფიოდოროვი).

რაც შეეხება გ. ზიუგანოვს, მიუხედავად მისი კანდიდატურის მიმართ მოსახლეობის რეალური მხარდაჭერისა, იგი კარგად ხვდება, რომ "დემოკრატები" ასე იოლად არ დათმობენ ხელისუფლებას და აცხადებს, რომ თუკი არსებული ხელისუფლება უკმაყოფილო დარჩება პირველი ტურის შედეგებით და მეორე ტურს გადადებს, მაშინ იგი პასუხს აღარ აგებს თავის მოქმედებაზე.

არჩევნების წინა დღეებში ან პირველი ტურის შემდეგ რუსეთში მდგომარეობის უკიდურესად გაშწვავებაზე გამუდმებით ლაპარაკობენ პოლიტიკური მიმომხილველები. ამგვარ მოსაზრებებს საფუძველს აძლევს რუსეთის თავდაცვის მინისტრის ბოლოდროინდელი მოქმედებები, რომელიც რუსეთის დღევანდელი პრეზიდენტის მხარდასაჭერადაა მიმართული. გრაჩოვი აცხადებს, რომ არმიის 80 პროცენტი მხარს უჭერს ბ. ელცინს. ეს განცხადება საინფორმაციო სამსახურების მიერ გაჩაღებული პროპაგანდის ფონზე, რომლის თანახმადაც თავდაცვის მინისტრსა და ბ. ელცინს შორის დიდი დაპირისპირება არსებობს, ცოტა უცნაურად გამოიყურება. მიმომხილველთა ერთი ნაწილი კი დღესაც იმ აზრისაა, რომ ელცინის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში გადადგმულ " მომგებიან" ნაბიჯთა შორის ერთ-ერთი უპირველესი - გრაჩოვის თანამდებობიდან გადაყენება იქნება. ამასთან ერთად, თავდაცვის მინისტრი ელცინისადმი მხარდაჭერის გამოხატვად გადაჭარბებული გულმოდგინებით ახდენს, რის გამოც არცთუ იშვიათად არღვევს საარჩევნო კანონს, რაც თავის მხრივ, მისი თავისუფლების აღკვეთის საბაბიც შეიძლება გახდეს.

ამას ემატება ჩეჩნეთში მიმდინარე ბოლოდროინდელი მოვლენები, სადაც სულ უფრო ძნელად გასარკვევი ხდება, საფუძვლიანია თუ არა ხმები ელცინსა და გრაჩოვს შორის არსებულ დაპირისპირებაზე. ეს ყველაფერი კი მეტად ბუნდოვანს ხდის საკითხს, თუ ვის დაუჭერს მხარს არმია, მოსალოდნელი დაპირისპირების შემთხვევაში.

კომუნისტები სულ უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ არსებული ხელისუფლებისთვის არჩევნების არასასურველი შედეგით დამთავრების შემთხვევაში "დემოკრატები" ძალისმიერ მეთოდებს მიმართავენ, რომ ხელისუფლების გადაცემის საკითხის მოგვარება იარაღის გამოყენებით გახდება შესაძლებელი.

დაახლოებით იგივე აზრისაა ვ. ჟირინოვსკიც. მისი თქმით, ერთადერთი, რასაც ელცინი არჩევნების წინ ან პირველი ტურის შემდეგ მოიმოქმედებს, არის ძალის გამოყენება...

არჩევნების დროს ძალზედ ბევრს გადაწყვეტს სოფლის მცხოვრებთა განწყობილება. ამ ბოლო დროს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, სოფლის მოსახლეობის 22 პროცენტს განზრახული აქვს მხარი დაუჭიროს ბ. ელცინს, 43 პროცენტს - გ. ზიუგანოვს. თუმცა, მათი უმრავლესობა მაინც ეჭვის თვალით უყურებს არჩევნების სამართლიანობას და ვარაუდობს, რომ პრეზიდენტი ისევ ბ. ელცინი გახდება.

ერთი კი ამთავითვე ნათელია: რუსი ამომრჩევლის მხარდაჭერას მომავალი პრეზიდენტისადმი, პირველ ყოვლისა, ერთი უმთავრესი ფაქტორი განსაზღვრავს - "დაუბრუნოს რუსეთს ძველი დიდება და ღირსება", ანუ აღუდგინოს რუსეთს ელეიკორუსული იმპერიის სტატუსი - ამას, სხვათა შორის, სოციოლოგიური გამოკითხვაც ადასტურებს.

რუსი ამომრჩეველი - "რეაქციონერი" იქნება ის თუ "დემოკრატი", იმას მიანდობს თავის მომავალს, ვინც ზემოაღნიშნულის უზრუნველყოფას მოახერხებს.

ნუგზარ წიკლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენებას იძლევა უზენაესი საბჭოს წევრი ნუგზარ მოლოდინაშვილი

უკანასკნელი ღამე თბილისში

ყველაზე მძიმე დარტყმა მაინც ტელეანძის ჩაბარება აღმოჩნდა. ალბათ, ეს არ იყო ძნელად პროგნოზირებადი ყოველივე იმის შემდეგ, რაც უკვე ვთქვი და მას შემდეგ, რაც ბესო ქუთათელაძე გადააყენეს, რითაც მან დაუყოვნებლივ ისარგებლა. ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალების ბედი გადაწყვეტილი იყო. უბრალოდ, დროის ამბავი იყო, როდის შემოვიდოდნენ უზენაესი საბჭოს შენობაში, ან შესაძლოა არც შემოსულიყვნენ. იქნებ, იმპერიის ცენტრს აწყობდა კიდევ ხანგრძლივი საბრძოლო მანევრები და ბატალიები თბილისის ცენტრში. პრეზიდენტმა მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება - დაეტოვებინა თბილისი.

გასვლის გეგმის შემუშავებაში მე მონაწილეობა არ მიმიღია. სამაგიეროდ, მიიღო ნოდარ გიორგაძემ, რომელიც შემდგომ აცხადებდა - ბუნკერში მაწამესო. ახლა, უცხოეთში, ალბათ ჭრილობებს იშუშებს.

ეს იყო საოცარი საღამო - 1992 წლის 5 იანვარი.

თავიდან დაიწყო ძალიან ოპტიმისტურად. ჩატარდა კიდევაც უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა და იქ მყოფების შეკრება - გამამხნევებელი და ოპტიმისტური მიმართვებით. შემდეგ, როდესაც შევედი პრეზიდენტის ოთახში, დავინახე, რომ საბრძოლო ქუდს - "კასკას" იზომებდა. "რად გინდათ-მეთქი? ეს ისე, არაფერიო - მიპასუხა. ამის შემდეგ ვიწრო წრეში ჩატარდა თავდაცვის საბჭოს სხდომა, რომელსაც მეც ვესწრებოდი. აი, აქ მითხრა მან - მივიღეთ გადაწყვეტილება დავტოვოთ თბილისი და შენ რას იტყვიო. მე კუთხარი - მიგიღიათ-მეთქი გადაწყვეტილება.

5 იანვარს, ღამით, "კოლხურ კოშკში" გაგზავნილ იქნა ჯგუფი პრეზიდენტის ოჯახის წამოსაყვანად, რომელიც, ფაქტობრივად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უპატრონოდ იყო მიტოვებული. ესეც ერთ-ერთი საოცრებაა, რომ არ მოხდა ოჯახის განადგურება. ალბათ, ღმერთის წყალობასა და განგებას უნდა კუმადლოდეთ. გურჯაანისა და სიღნაღის შს განყოფილების ნაწილებმა მიატოვეს იქაურობა - ვერც გაამტყუნებ, შეიძლება იქ რთული სიტუაცია იყო.

უზენაესი საბჭოდან გამოვედით გამთენიისას ოთხი "იკარუსი"-ს ტიპის ავტობუსით. აქედან ორს იქვე, ეზოში ჩაეშვა საბურავები. დანარჩენები მანქანებში ჩასხდნენ.

საინტერესოა, რომ ევაკუაცია 5 საათი გრძელდებოდა და ესეც უცნაურია, რომ ამდენ ხანს გასტანა. ამას, შესაძლოა, ტრაგიკული შედეგები მოჰყოლოდა მაშინვე. თუ რა ხდებოდა, ეს ჩემთვის ჯერჯერობით კონკრეტულად უცნობია.

ამის შემდეგ კოლონა დაიძრა. არც ერთმა არ იცოდა, რომელ მანქანაში იყო პრეზიდენტი. ჩავედით თავისუფლების მოედანზე, ლესელიძის ქუჩით გავედით სანაპიროზე. როგორც წინასწარ ვიცოდი, მარშრუტი განსაზღვრული გვქონდა დასავლეთისკენ. წინა რამდენიმე მანქანამ გაგვისწრო და დაახლოებით სინაგოგასთან მოხვდნენ ჯვარედინ ცეცხლში. ჩამოწყვეტილი იყო ტროლეიბუსის სადენები. ვხედავდი უამრავ დაჭრილს, დახოცილს... მაგრამ საჭიროდ ჩავთვალე, დავწეოდი პრეზიდენტს. კოლონა ხიდის მეორე მხარეს იყო გაჩერებული. ღვინის აღმართით ავედით შაუმიანის ქუჩისკენ, გეზი აშკარად აღმოსავლეთისკენ გვეჭირა. გავოცდი, ჩემთვის უცნობი იყო, რომ უთათბირიათ და მიუღიათ გადაწყვეტლება, აღმოსავლეთისკენ წავსულიყავით.

მოძმე რესპუბლიკებში

ჩავედით განჯაში და აქ გავჩერდით. შეგვხვდა განჯის პრეფექტი. სრულიად უსასოოდ და უგონოდ მყოფი ქალბატონი მანანა წაიყვანეს ოჯახში. იყო კიდევ ერთი მცდელობა, დაკავშირებოდნენ მუთალიბოვს. ადრეც იყო ასეთი მცდელობა, მე არ მომეცა საშუალება ადრე მომეთხრო ამის შესახებ. ჩვენ გვქონდა მასთან კონტაქტები, თვითონ მუთალიბოვიც ბრძანდებოდა აქ, პირადად მეც მქონდა მასთან შეხვედრა. განჯიდან დარეკვისას, ტელეფონთან ის ვერ მოვიდა, დაკავებული იყო, ხვდებოდა სპარსეთის ელჩებს. ეს დელიკატური უარი იყო - მას, ალბათ, არ უნდოდა ჩარევა.

მაშინ განჯის პრეფექტმა პირველად უთხრა ზვიად გამსახურდიას: კავკასიაში მხოლოდ და მხოლოდ ორ ადგილას იქნებით უსაფრთხოდ - განჯაში (ამას უფრო კავკასიურ სტუმართმოყვარეობას მივაწერდი) და გროზნოში. შემოთავაზებული იქნა თვითმფრინავი, მაგრამ ამაზე, მოკლე

დიახ, მე თავისუფალი ვარ!

გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკა"-ში სოსო ჭინჭარაულის პუბლიკაციის - "წადი, თავისუფალი ხარ!" პასუხად

დიახ, მე ვიყავი და ვარ სრულიად თავისუფალი.

დიახ, მეხურა თუშური ქუდი.

დიახ, ვხუმრობდი განუწყვეტლივ იმიტომ, რომ შაპიტოში უნდა ხუმრობდეს ნორმალური ადამიანი...

დიახ, მე სახალხოდ პათოლოგიური ვუწოდე დიქტატორს.

დიახ, მე ვმუშაობ მისი საწინააღმდეგო ვაქცინის გამოგონებისთვის.

დიახ, მე, სულ მცირე, იდიოტად გამოვიყვანე "მსოფლიოს უდიდესი პოლიტიკოსი და მხედართმთავარი".

დიახ, მე ვთვლი, ამ ეტაპზე რაც მინდოდა, ყველაფერი გავაკეთე. დიახ, მე, და მხოლოდ მე, როცა მსურდა, მაშინ დავტოვე დარბაზი...

თავისუფლება სხვა არაფერია.

მე ჩემი გავაკეთე. სხვაც ყველა გააკეთებს იმას, რაც ევალება ადამიანს.

მე მჯერა ჩემი ერის, ჩემი უსაყვარლესი ადამიანების.

ნუგზარ მოლოდინაშვილი

უშიშროების სამინისტროს საგამომძიებლო იზოლატორი
27 მაისი, 1996 წელი.

მოძმე რესპუბლიკებში

ჩავედით განჯაში და აქ გავჩერდით. შეგვხვდა განჯის პრეფექტი. სრულიად უსასოოდ და უგონოდ მყოფი ქალბატონი მანანა წაიყვანეს ოჯახში. იყო კიდევ ერთი მცდელობა, დაკავშირებოდნენ მუთალიბოვს. ადრეც იყო ასეთი მცდელობა, მე არ

... ბოლოდ

ეს დელეგაცია ცდილობდა, მომრიგებლის ფუნქცია შეესრულებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. თენგიზ კიტოვანმა მათ შესთავაზა (ეს ნიშანდობლივი ფაქტია), რომ ის ტექნიკა და შეიარაღება, რაც მათ გააჩნდათ, ვიდეოფირზე დაეფიქსირებინა ჩვენს მხარეს ამ მოლაპარაკების მონაწილეებთან და საერთაშორისო დამკვირვებლებთან ერთად. ამით უნდა დავრწმუნებულიყავით, რომ სრულიად უაზრო იყო ამგვარ შეიარაღებულ ძალასთან ბრძოლა.

ამ დელეგაციის ვიზიტის დროს ითქვა, რომ სომხეთის მხარე სთავაზობდა პრეზიდენტს თავშესაფარს. ჩვენ გადმოვლახეთ აზერბაიჯანის საზღვარი და გადმოვედით სომხეთის ტერიტორიაზე. შობის ღამე გავატარეთ სასაზღვრო კემპინგში. მეორე დილას მოვიდა სომხეთის შს მინისტრის მოადგილე, ჰქონდა პირადი საუბარი ბატონ ზვიადთან და გავემგზავრეთ ივჯევანში. ამ დროს უკვე კვალდაკვალ მოგვდევდნენ გიორგი შენგელაია, რეზო ესაძე, რევაზ ყიფიანი და სხვები. ისინი სომხეთის ხელისუფლებისგან მოითხოვდნენ პრეზიდენტის მათთვის გადაცემას. ეს, როგორც ჩანს, სომხეთის მხარემ ვერ გაბედა, ყოველ შემთხვევაში, იმ პეროდში.

გათენდა შობის დღესასწაული. 7 იანვარს, საღამოს, მოვისმინე უწმინდესისა და უნეტარესის საშობაო ეპისტოლე და გამოვიტირე მისი სული. მე ამაზე არაფერი მითქვამს და ახლა უნდა მოგახსენოთ - კონფლიქტის დროს მთელმა რიგმა გამოჩენილმა მოღვაწეებმა საქართველოში დაპირისპირებულ ძალთა ერთადერთ მომრიგებლად, რომელსაც უნდა გადაერჩინა ერი სისხლის ღვრისაგან, ჩათვალეს პატრიარქი. როცა მას მიაკითხეს და სთხოვეს ხალხისთვის მიემართა, მან თქვა, რომ შეუძლოდ იყო. შემდგომში ეს იმით ახსნა, რომ მისი სამწყსო განუყოფელია და ამიტომ ვერ დადგებოდა ვერც ერთ მხარეს, რაც აბსოლუტურად ლოგიკურია. მაგრამ ჩვენი საქართველოდან გასვლის შემდეგ, მწოლიარე ავადმყოფი, მგონი, პერანგის ამარა გამოვარდა, რათა მეორე მხარისთვის მიეღოცა გამარჯვება.

ასე იქცა ცხოვართა მწყემსი მგლების ხროვის მწყემსად. შემინდოს უფალმა.

(გაგრძელება იქნება)

სასამართლო პროცესი ძველი სცენარის მიხედვით

პროკურორი მოითხოვს სასჯელის განსაკუთრებულ ზომას

როგორც ცნობილია, ბადრი ზარანდიასა და სხვათა ბრალდების საქმეზე პროკურორმა ა. სიკიაშვილმა მოითხოვა სასჯელის განსაკუთრებული ზომა ორი განსასჯელის მიმართ.

მთელი გასული კვირის განმავლობაში იგი გულმოდგინედ ემზადებოდა ამ გამოსვლისთვის, რის გამოც ორჯერ გადაიდო სასამართლო კოლეგიის სხდომა. მოსალოდნელი იყო, რომ სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლოს წინაშე წარდგებოდა სერიოზული, დასაბუთებული სიტყვით. ამის ნაცვლად დამსწრე საზოგადოება მოწმე გახდა განსასჯელებზე პირადად განაწყენებული კაცის გაავებისა, რომელიც მეტად მოუქნელად იყენებდა სახელმწიფო აპარატის მიერ პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით შეთხზულ შტამპებს.

ტექსტში, რომელსაც იგი ქაღალდიდან თვალმოუწყვეტლივ კითხულობდა, მრავლად იყო ლიტერატურული მარგალიტები: "ათასი ფუთი ბრალდება მიუძღვით"... "ნგრევა, სისხლის აღება რიგით, მიმდინარე საკითხად იყო ქცეული"..."აქცენტი გადატანილი იყო ბენდელიანის ფრრხილებთან დაკავშირებით"...

ა. სიკიაშვილის გამოსვლაში განსაკუთრებით გამაოგნებელი იყო თავისდაუნებურად დაშვებული შეცდომები, რომლებიც ორატორისთვის პრინციპულად არასასურველ შინაარსს იძენდა. მაგალითად, მან ბადრი ზარანდიას ქმედებას უწოდა "ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების წინააღმდეგ მიმართული"; საზოგადოებისთვის ამოუხსნელი დარჩა, ვის გულისხმობდა იგი, როდესაც თქვა: "მათ მიმართეს იარაღი ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგ."

სახელმწიფო ბრალმდებლის გამოსვლამ ცხადყო, რომ არსებული ხელისუფლება თავს აღარ იწუხებს, რათა პოლიტიკურ პროცესებზე კვალიფიციურად წარმოადგინოს სახელმწიფო ბრალდების სახე, სჯერდება დაბალი პროფესიონალიზმისა და შეზღუდული თვალსაწიერის მქონე პირთა მონაწილეობას მსგავს საქმეებში. ეს კიდევ უფრო ნათელს ხდის პოლიტიკური სასამართლო პროცესების უკან მდგომი მძლავრი სახელმწიფო დიქტატორული რეჟიმის ცინიზმს.

ადვოკატი მოითხოვს გამამართლებელ განაჩენს

7 ივნისს, სასამართლო კოლეგიის სხდომაზე, ბადრი ზარანდიასა და სხვათა ბრალდების გამო გაგრძელდა მხარეთა კამათი. მასში მონაწილეობა მიიღეს დაცვის წარმომადგენლებმა.

ადვოკატმა, ბატონმა გივი მდინარაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბადრი ზარანდია საშობლოსთვის თავდადებული ადამიანია, რაც ჩანს საბრალდებო დასკვნის ყოველი ფურცლიდან. ადვოკატს მიაჩნია, რომ ძალმომრეობით მოსული ხელისუფლების წინააღმდეგ აღდგა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა. ამის გამო მიმდინარეობდა ორ მხარეს შორის აშკარა საომარი მოქმედებები, რაც ასახულია საბრალდებო დასკვნის ტერმინოლოგიაში: "ბატალიონი", "პოლკი", "გამაგრდნენ მისადგომებთან"... მაგრამ გამოძიებას დასჭირდა, რომ ამ სამხედრო შენაერთებისთვის ეწოდებინა "ბანდიტური დაჯგუფება", რადგან ამ შეთხვევაში დასჯადი გახდებოდა ის, რაც არ არის დასჯადი საომარი მოქმედებების დროს.

გ. მდინარაძემ აღნიშნა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ წაყენებული არც ერთი ბრალდება არაა დადასტურებული საქმის მასალებით და არ დამტკიცდა სამსჯავრო გამოძიების დროს.

მაგალითად, რ. გვენცაძისა და სხვათა მოტაცების მტკიცებულებად მიჩნეულია მათივე ჩვენებები, რომლებშიც ნახსენებიც კი არსადაა ბადრი ზარანდია; ასევე არაა დამტკიცებული მისგან ბოროტი ხულიგნობის ჩადენის ფაქტი, რომლის მოწმე, დაკითხული წინასწარ გამოძიებაში - უცნობი პირია და საქმეში აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობს.

ადვოკატი ვრცლად შეეხო მტკიცებულებების უსაფუძვლობის საკითხსა და პროცესუალური ნორმების დარღვევათა ფაქტებს, რომელთა მხოლოდ ნაწილს ჩამოვთვლით: ბრალდება დაფუძნებულია წამების შედეგად მიცემულ აღიარებით ჩვენებებზე; სამსჯავრო გამოძიებამ არ მოახდინა წამების მონაწილე დასახელებული ყველა პირის სრულყოფილი დაკითხვა; უხეში დარღვევებითაა შედგენილი შემთხვევის ადგილზე გაყვანის ოქმი; ალიბის მოწმე ჯ. გვასალიაზე იყო ზეწოლა პროკურატურის მხრიდან, რის გამოც მან ერთხელ შეცვალა თავისი ჩვენება, თუმცა, შემდეგ კვლავ პირვანდელ ჩვენებას დაუბრუნდა.დასასრულ ადვოკატმა აღნიშნა, რომ საბრალდებო დასკვნაში ხშირად მოიხსენიება 2000 კაციანი შეიარაღებული ბანდა, რაც სრულიად წარმოუდგენელია. ასეთი რამ "არ ახსოვს კრიმინალურ ისტორიას. ეს იყო მებრძოლთა ძალა, რომელიც იბრძოდა არსებული ხელისუფლების შენარჩუნებისთვის, იმ ხელისუფლებისთვის, რომლის დამხობა ძალადობით მოსულ ძალას სურდა, რომელი ხელისუფლებაც აირჩიეს მოქალაქეებმა და ხმა მისცა მთელმა ერმა."

ადვოკატმა თანმიმდევრულად უარყო მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბადრი ზარანდიას მიმართ წაყენებული ბრალდებები და მოითხოვა გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

ლეონიძე გაძევების მეთოდის ერთგულია

იმავე დღეს სასამართლო პროცესზე კვლავ მოხდა ინციდენტი. მოსამართლე ლეონიძემ შენიშვნისთვის დარბაზიდან გააძევა მარინე ზარანდია. ამან მრავალრიცხოვან დამსწრეთა მძაფრი აღშფოთება გამოიწვია. პროტესტის ნიშნად ყველამ დატოვა დარბაზი, მათ შორის ჟურნალისტებმაც.

ამგვარად, სხვა ადვოკატებმა დაცვითი სიტყვები ცარიელ დარბაზში წარმოთქვეს. შემდეგ სხდომაზე მოსმენილი იქნება მხოლოდ ერთი ადვოკატის დაცვითი სიტყვა, რის შემდეგაც უნდა ველოდოთ განაჩენს.

საფიქრებელია, რომ იგი უკვე კარგა ხნის შეთხზულია ისევე, როგორც გაძევებათა სერიის შემცველი სხვა სასამართლო პროცესების სცენარი, რომელიც პირველად წარმატებით განხორციელდა მოსამართლე მირზა დოლიძისა და პროკურორ კახა კობერძის მიერ, რის გამოც ისინი დაწინაურეს. საინტერესოა, რა ჯილდოები ელით, ან რომელ პრესტიჟულ კაბინეტებში გადაინაცვლებენ მიმდინარე პროცესზე დაკვეთის შემსრულებელი პირები - ლეონიძე, სიკიაშვილი, ალადაშვილი, წერეთელი, ლალიაშვილი და სხვანი?

სასამართლო პროცესზე, 3 ივნისს, უკვე მეორე მოწმე გამოცხადდა, რომელიც თითქოსდა დაესწრო ლოთი ქობალიას მიერ ჟურნალისტ დავით ბოლქვაძის დახვრეტას. ამჯერად, მოწმე ნატო შენგელია საერთოდ დუმდა. უცნაურია, რომ დაზარალებული ბოლქვაძეები ისევ არ დაესწრნენ ესოდენ მნიშვნელოვანი მოწმის დაკითხვასაც (როგორც ბონდო კუტალიას დაკითხვას). არადა, თავისი ჩვენების მიცემისას, ქ-ნმა ლია ბოლქვაძემ განაცხადა, რომ არიან ქობალიას მომხრეთა მიერ დაშინებული მოწმეები, რომლებიც არაფერს იტყვიან და საქართველოს დატოვებას აპირებენო.

როგორც ჩანს, ნატო შენგელია სწორედ ის "დაშინებული"

ედუმარეგით მოცული მოწმეები

მოწმეა, რომელმაც შესაშური სიმამაცე გამოიჩინა - საქართველოდან გამგზავრების წინ ჯერ განცხადებით მიმართა სასამართლოს, ჩქარა დამკითხეთო, მერე სხდომათა დარბაზში სამსაათიანი დუმილის, გულყრების, წერილობითი ჩვენების მიცემის უშედეგო მცდელობს შემდეგ, ერთადერთი წინადადება თქვა - ვადასტურებ წინასწარ ძიებაში მიცემულ ჩვენებას. არც ბრალდება და არც სასამართლო მისგან ამაზე მეტს არც მოთხოვდნენ. მოსამართლე ალექსანდრე ალადაშვილის რეპლიკები რომ მონოლოგად აიკინძოს (სხვა იმ სხდომაზე არც არაფერი თქმულა), ჩინებული დრამატურგია გამოვა:

- არ გინდათ ჩვენების მიცემა? გსურთ თუ არა, გვიპასუხოთ შეკითხვებზე?.. გვითხარით ან კი ან არა, ხომ არ ვიდგებით ასე? ნატო, ნატო, შემოგვხედე რა!.. მოგვეცით ეხლა ჩვენება, ან გვითხარით, რომ არ გვაძლევთ ჩვენებას! რატომ არ შეგიძლიათ ლაპარაკი, მიპასუხეთ, რას მოდიოდით მაშინ, ვერ გავიგე. ძალით მოგიყვანათ ვინმემ? ა? არა? ვალდებული ხართ კანონის წინაშე, მაგრამ გვითხარით, თუ არ გვაძლევთ ჩვენებას. აწიეთ თავი! ა? ვერ გავიგე, ხმამაღლა!.. თუ ჩვენებას არ მოგვცემს, გამოვაქვეყნებთ წინასწარ ძიებაში მიცემულ ჩვენებას. აბა რა ვქნათ?

საგულისხმოა: მოსამართლემ სხდომის დასაწყისშივე, როდესაც სასამართლო კოლეგიას მოწმის განცხადება გააცნო, ბრძანა, რომ მოწმე ნატო შენგელია დაკითხულია საქმესთან დაკავშირებით, თუმც დასაკითხ მოწმეთა სიაში შეტანილი არ გახლავთო (?!). ესეც მეტად საინტერესოდ ახასიათებს ბრალდების მხარეს. ამრიგად, ნატო შენგელიას ე.წ. ჩვენებამ მრავალი კითხვა დაბადა. ერთ-ერთი მათგანი, სავსებით ლოგიკურად, იქვე დასვა ზვიად ძიძიგურმა: "გუშინ თუ განცხადების დაწერა არ შეეშინდა, დღეს აქ რისი ეშინიაო."

არ არის გამორიცხული, რომ ბონდო კუტალიას ოდიოზური ჩვენების შემდეგ, მოწმეთა დუმილი თავად პროკურატურას აძლევდეს ხელს. ცნობილია, "ზოგჯერ თქმითაც დაშავდების". ასე რომ, იქნებ ბრალდებისთვის უმჯობესიც იყოს, ყურით მოთრეულმა მოწმეებმა მხოლოდ დაადასტურონ წინასწარი ჩვენება, რათა კვლავ არ გაიხლართონ ძიების მიერ შეთხზული ვერსიის ლაბირინთში.

კონსტანტინე გამსახურდია

ზვიად გამსახურდია

დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე

(წიგნი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით)

თავი მეშვიდე
ეკლესია და პოლიტიკა

მრავალი საუკუნის მანძილზე თვითმყოფადი (ავტოკეფალური) ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ასრულებდა თავის მისიას სულიერად გაძღოლოდა ქართველ ერს. ეს ქვეყანა უხსოვარი დროიდან უმდიდრესი სულიერი ცხოვრებით ცხოვრობდა. როგორც პირველ თავში იქნა აღნიშნული, საქართველოს გაქრისტიანება ბუნებრივი, თავისთავადი პროცესი იყო. გარემოსთან ჰარმონიული ერთიანობის განცდა ეხმარებოდა ადამიანებს სიღრმისეულად შეემეცნათ თავისი არსი და დანიშნულება სამყაროსთან მიმართებაში. ეს განსაკუთრებით იჩენს თავს წმინდა გიორგის კულტის მაგალითზე, რომლის მიმართ ლოცვა განუწყვეტლივ აღევლინებოდა უამრავ დიდსა თუ მცირე ეკლესიაში. მარტო ერთ ადგილას, ბერთუბანში, დაახლოებით 200-მდე მონასტერი არსებობდა, სადაც 6000 ბერი მოღვაწეობდა. განსწავლული ბერები ღვთისმეტყველებას, იკონოგრაფიას და საგანმანათლებლო საქმიანობას მისდევდნენ. ისინი თავის სულიერ გამოცდილებას მეომრებსა და გლეხებს აზიარებდნენ. საქართველოში სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის არ არსებობდა მკვეთრი გამიჯვნა - აკი თვით ღვთის მიერ ცხებული მეფენი ხშირად მოძღვრებიც იყვნენ, ხოლო სასულიერო პირები იარაღს ისხამდნენ, როცა ქვეყანას მტერი ემუქრებოდა.

ამ უძველეს ქვეყანაში მუსიკა, სიმღერა ღვთისმსახურების რანგში იყო აყვანილი. გლეხისთვის რომ ეთხოვათ, შეესრულებინა შრომის სადიდებელი ან სამადლობელი ჰანგი, იგი უპასუხებდა: "მე ასე არ შემიძლია, არ ვიცი, რასა მთხოვთ, მაგრამ მობრძანდით ჩვენთან ყანაში და სიმღერას იქ მოგასმენინებთ". ეს მუსიკა ერთ რომელიმე ადამიანს არ შეუთხზავს. ეს იყო უშუალო ენა ღვთაებრივი არსებებისა, ბგერათშეთანხმება, რომლის ამაღლებული ყურადღება მინდვრების დამუშავებაში ეხმარებოდა ხალხს. მოგვიანო ხანებში ეს მელოდიები ჩაიწერეს და კონცერტებზე ასრულებდნენ. მაგრამ აქაც იგრძნობოდა ამ სიმღერების პირველქმნილი მშვენიერება.

როდესაც რუსებმა მე-19 საუკუნის დამდეგს საქართ ელოს საეკლესიო თვითმმართველობა გააუქმეს, აქ 76 ეპარქია იყო დაახლოებით სამი მილიონი მოსახლისათვის. დამპყრობლებმა ზედმიწევნით ზუსტად შეიგრძნეს, რომ ქართველთა ძალა მათ ღვთისმოშიშობაში იყო. ამიტომაც ყველაფერი იღონეს, რათა ქართული ეკლესია დაესუსტებინათ. პირველი ღონისძიება იყო ეკლესიაში რუსული მსახურების შემოღება. შემდეგ დაიწყო ტაძრების გადაკეთება და შეთვორება.

მე-16 საუკუნიდან მოყოლებული, რუსი ბერები კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამდნენ ქართული საეკლესიო მხატვრობის მიმართ - მათი ზრით, აქაური იკონოგრაფია ერეტიკული იყო. ამგვარი კრიტიკა გახდა ქმედითი იარაღი გარუსების პროგრამისა, რომლის მსხვერპლად იქცა აღმოსავლეთ საქართველოს განუმეორებელი კედლის მხატვრობა. აკაკი წერეთელმა მეტად სხარტად გამოხატა ეს პრობლემა თავის ერთ-ერთ ლექსში:

"ქვეყნის გამყიდველს და
ორგულს
არ ამადლიდნენ ქებასა,
და ყოველ ბიჯზე სცდილობდნენ
მთელ ქვეყნის გარუსებასა.
"ჯერ რჯული უნდა წავართვათ,
გავხადოთ უნამუსუთო,
და მერე შევძლებთ ადვილად
რომ კიდეც გავარუსოთო."
ეს სთქვეს და კიდეც მაშინვე
შეუდგნენ გარუსებასა
და ქართველობის უარმყოფს
არ ამადლიდნენ ქებასა.
.....
ასრულდა მტრების განზრახვა,
რჯულს გაჰყვა ქართველობაცა
და სათვალთმაქცოდ გადიქცა
დღეს დღეკანდელი მღვდლობაცა."

რუსეთში მომხდარმა რევოლუციამ მდგომარეობა შეცვალა საქართველოში. 1917 წელს კვლავ აღდგა ავტოკეფალია. 76 ეპარქიიდან ამ დროისთვის 11-ღა მოქმედებდა. მაშინ ასეთი წესი შემოიღეს: ეკლესიის მეთაური იყო "სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი". იგი მართავდა საპატრიარქო საბჭოს მეშვეობით, რომელსაც ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ირჩევდნენ. იგი შედგებოდა სასულიერო და სამოქალაქო პირებისგან. ეპისკოპოსების წრიდან პატრიარქი აკურთხებდა სამ ან ოთხ მთავარეპისკოპოსს ან მიტროპოლიტს. მიტროპოლიტს, ეპარქიებთან ერთად, ექვემდებარებოდნენ მონასტრები. ამას გარდა საპატრიარქო საბჭო უმაღლეს სასულიერო პირთაგან შემდგარ საეკლესიო სასამართლოსაც ადგენდა. 1927 წელს, როცა ჩეკასთან მოთანამშრომლე კაცი, სახელად ქრისტეფორე, პატრიარქი გახდა, მან საეკლესიო სასამართლო გააუქმა.

დროთა განმავლობაში ეკლესიაზე ზეწოლა მატულობდა. მისი ბევრი წარმომადგენელი დაიხვრიტა ან გადასახლებულ იქნა. საეკლესიო ნაგებობათა მეტ წილს მათი დანიშნულება წაართვეს ან საერთოდ დაკეტეს.

70-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მხოლოდ სამი ეპარქია იყო და ერთადერთი სასულიერო სემინარია მცხეთაში. ეს მწირი ნაშთები ყოფილი დიდებულებისა ემსახურებოდა საბჭოთა კავშირის თვალთმაქცურ პოლიტიკას, რათა მსოფლიოსთვის მოეჩვენებინათ, რომ აქ რელიგიის თავისუფლება იყო და რომ მორწმუნეთა არავითარი დევნა არ არსებობდა. ათეიზმი კი ოფიციალური იდეოლოგიის ურყევი ნაწილი იყო. ისტორიული მატერიალიზმის სასკოლო სახელმძღვანელოებში ამოიკითხავდით დებულებას, რომ რელიგია იყო ყოველგვარ სამეცნიერო საფუძველს მოკლებული წარსულის მავნე გადმონაშთი. თუ რა პრიმიტივიზმამდე მივყავდით ამგვარ მოძღვრებას, ადასტურებს პირველი კოსმონავტის, იური გაგარინის გამონათქვამი: "მე ვიყავი ციური ვარსკვლავების სამყაროში და ვერსად შევძელი ღმერთის აღმოჩენა. მაშასადამე, იგი არ არსებობს". დავუშვათ მის სასარგებლოდ, რომ იგი უგონოდ მთვრალი იყო, როცა ამას ამბობდა.

რაც დრო გადიოდა, ეკლესიის მაღალ მსახურთა ადგილს "წითელი მოძღვრები" იკავებდნენ. ისინი ყოველთვის არ იყვნენ საიდუმლო სამსახურის აგენტები, მაგრამ ოფიციოზთან თანამშრომლობდნენ. ერთ-ერთი "წითელი" მღვდელი, მიტროპოლიტი გაიოზი (კერატიშვილი), პირადი გამდიდრების მიზნით, საქართველოს გარეთ ყიდდა ეკლესიების უძვირფასეს განძეულობას. ზოგიერთი ინფორმაციის მიხედვით, რამოდენიმე მოპარული ხატი აშშ-ვენებდა თვით ანდროპოვის კოლექციას. გარდა ამისა, იგი ცნობილი იყო როგორც ჰომოსექსუალისტი.

ზვიად გამსახურდია თავის არალეგალურ ჟურნალში ამის თაობაზე შემდეგს იუწყებოდა 1976 წელს: "ჭეშმარიტებაა, რომ ბოლო ხანებში ჰომოსექსუალიზმმა უმაღლეს სასულიერო წრეებში შეაღწია. [illegible] ინტერესებულნი [illegible] გაღრმავებით, რადგან ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება ეკლესიის მსახურთა მიმართ სადამსჯელო ზომების მიღება, ხოლო დასასჯელი პირების მართვა უფრო იოლია. გარდა ამისა, ასეთი მოვლენა საუკეთესოდ შეიძლება იქნეს გამოყენებული ეკლესიისა და საერთოდ რელიგიის დისკრედიტაციისთვის."

კრიზისმა შიდასაეკლესიო ცხოვრებაში განსაკუთრებით იჩინა თავი სიბერისგან დაუძლურებული და დასნეულებული პატრიარქის, დავით მეხუთის მმართველობის დროს, რომელიც იმავდროულად სუკ-ის აგენტიც იყო. მის მემკვიდრედ გამოჩნდა ორი შესაძლო კანდიდატი - ერთი იყო უკვე ნახსენები კერატიშვილი, ხოლო მეორე - მომხიბვლელი მთავარეპისკოპოსი აფხაზეთისა, ილია (ირაკლი) შიოლაშვილი, რომელსაც მხარს უჭერდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მღვდელთმსახურიც თითქმის ღიად იდგა "წითლების" სამსახურში.

"საქართველოს მოამბეში" მათ ამხილეს მისი მეტოქის დანაშაულებრივი ქმედებანი. ეს ცნობა მათ უცხოეთშიც გაავრცელეს. ამის გამო საიდუმლო სამსახური იძულებული გახდა კერატიშვილი დეპატიმრებინა. ორი პისტოლეტით შეიარაღებული დამნაშავე იმ დროს დაკავეს, როცა იგი მოპარული ხატების გაყიდვას ცდილობდა. 1979 წელს მას 15 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ორი ქართველი დისიდენტი რომ არ ჩარეულიყო საქმეში, კერატიშვილი უთუოდ პატრიარქი გახდებოდა.

ამ ამბავს კიდევ ერთი ისტორია უძღოდა წინ. საბჭოთა ტელევიზიამ ზვიად გამსახურდიას შიმშილობისა და მისივე მონანიების შესახებ გადასცა ცნობა. სხვა მოთხოვნებთან ერთად, ზვიად გამსახურდიამ "საჯარო მონანიების" სანაცვლოდ დასვა პირობა - დეპეტიმრებინათ კერატიშვილი და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად შიოლაშვილი დესახელებინათ. ორივე მხარემ შეასრულა თავისი პირობა - სუკმაც და დისიდენტმაც.

(გაგრძელება იქნება)

TAVISUPALI SAKARTVELO
(FREE GEORGIA)
№21 (in brief)
11 - 17 June 1996

Petrol Business is Governed by the Nephew of the President of Georgia

Rise of the prices for petrol in Tbilisi caused pointed debates in the Parliament of Georgia. The head of taxation inspection Mr. David Saralidze, deputy Minister of Finances Mr. Mirian Murjikneli and the head of the state concern "Saknavtobi" Mr. Tamaz Shavdatuashvili were called to the Session of the Parliament. At the parliamentary session an opinion was advanced that the petrol business in Georgia is governed by one man. The deputy Mikheil Jibuti appealed to everybody to find out who was that man. However, nobody mentioned the name of that person. Meanwhile in the parliament lobby the deputies were claiming that the petrol business is governed by the nephew of the President of Georgia.

The Court hearing Proceeds in Tune with the Old Scenario

"Droni", #42, June 4, 1996

The Prosecutor Demands the Death Penalty

As it is known at the Court hearing of Badri Zarandia and other's case the Prosecutor A. Sikiashvili demanded death penalty for two defendants.

During the whole last week he was diligently preparing for his speech and for this reason the Session of the Court Board was postponed two times. The State Prosecutor was expected to present himself before the Court with serious, well grounded speech. Instead the attending audience became the witness of the anger of a person who was settling personal scores with the defendants rather clumsily using the clichO faked by the State apparatus with the aim of political punishment.

Particularly astounding in the speech of A. Sikiashvili were the unintentional mistakes, which gave to the sentences the principally undesirable for the orator sense. Thus for example the Prosecutor qualified the actions of Mr. Badri Zarandia as "directed against the antigovernment activities"; to the audience remained unclear who he was speaking about when he said: " They turned the weapon against the former authorities".

The speech of the State Prosecutor demonstrated that the existing authorities do not bother themselves with professional presentation of the Prosecution at the political hearing and are content with participation of the persons with low professional skill and limited horizon in such Cases. This makes more evident the cynicism of the strong state dictatorial regime which is standing behind such political court hearings.

The Lawyer Demands the Verdict "Not Guilty"

On June 7 at the Session of the Court Board devoted to the Case of Badri Zarandia and Others the debates of the parties continued. In these debates participated the representatives of the defense.

The lawyer Mr. Givi Mdinaradze in his speech stressed that the defendant Badri Zarandia is a faithful to his motherland and had never betrayed it, to which testify every page of the indictment. The lawyer believes that the majority of population of Georgia rose against the authorities which came in power by force. Due to this fact the two parties were involved in a real war actions with each other, which is reflected in terms used by the Prosecution such as: "battalion", "regiment", "fortified themselves at the approaches of ...". However the investigation needed to qualify these military unions as "Bandit groups", since in such a case the actions which are not due to punishment during the war actions would become punishable.

Mr. G. Mdinaradze noted that none of the charges brought against the defendants whose interests he was defending were not confirmed by the Case materials. Neither were they confirmed in the course of the Court investigation.

Thus for example, in the case of kidnapping of Mr. Gventasdze and others their own testimonies are considered as a proof, even though in their testimonies they had never mentioned the name of Badri Zarandia. The Prosecution also failed to prove the fact of malicious hooliganism incriminated to Mr. Badri Zarandia. The only witness who had been interrogated in the course of preliminary investigation is unknown and does not live by the address mentioned in the Case.

The lawyer dwelled in detail on the issue of ungrounded proofs and facts of rough violation of the legal procedure, of which we shall list only some: the prosecution is based on the confessions made by the defendants as a result of tortures; the Court investigation did not provide comprehensive interrogation of all persons who participated in torture of the prisoners; the protocol of taking the defendants to the place of crime is compiled with rough violations; the witness J. Gvasalia who was providing alibi to the defendant was subjected to pressure from the Prosecutor's Office as a result of which he had changed his testimony though later he returned to his initial testimony.

The lawyer successively rejected all charges brought against his client Badri Zarandia and demanded to pronounce the verdict of "Not guilty".

Leonidze Remains Faithful to the Method of Removing People from the Court Hearing

On the same day a new incident again took lace at the Court hearing. The judge Leonidze removed Marine Zarandia from the Court hall for a remark. This was followed by the acute negative response of the attending audience. In protest everybody including the journalists left the Court hall.

Thus, the speeches for defense of other lawyers were pronounced in empty room. At the next session the speech for defense was made by only one lawyer, after which one should suppose to hear the verdict. The verdict has to all probability been written long before like the scenario of the series of removals from the Court hall, which was first successfully staged by the judge Mirza Dolidze and Prosecutor Kakha Koberidze who had been promoted for this. What will be the rewards or to which prestigious study will move the executors of the ordered scenario Mr. Leonidze, Mr. Sikiashvili, Mr. Aladashvili, Mr. Tsereteli, Mr. Laliashvili and others?

Shevardnadze needs the "Ioselianies"

One of the most notorious figures Mr. Jaba Ioseliani unexpectedly rapidly disappeared from the stage of political life of Georgia. Until this event in the preceding 5 year period of history of Georgia full of blood and terror so much was related to his name, that the silence, indifference, scarcity of information which accompany the preliminary investigation of the former "statesman" cannot cause but a certain surprise.

After the arrest of Ioseliani nearly all sighed with relief and immediately forgot him. All but Shevardnadze. At least, to this testify the current gossips which from time to time attract the attention of the public. For a considerable time sustained the gossip about Shevardnadze visiting Jaba Ioseliani in prison where he had a private conversation with him. To this add the significant public statement of Shevardnadze in which he promised to satisfy the appeal for pardon of those who had made attempt upon his life provided they are sentenced to death by the Court.

On he background of the series of death sentences pronounced for the opponents of the existing regime in Georgia which are accompanied with complete indifference on the part of the authorities, the above statement of Shevardnadze acquires evident ambiguity.

The response of Ioseliani is absolutely adequate. He keeps the same ambiguous silence.

He keep silence irrespective of the fact that his so much cared of and set to wing "Mkhedrioni" is presently subjected to the same merciless treatment which they so richly used to practice on others under the direct orders and encouragement of the supreme authorities.

One seems very convincing: Shevardnadze is unwilling to sacrifice Ioseliani. Yet unwilling. May be he will once more need his service. Being the witness of such duplicity and hypocrisy one should not be surprised by such prospect. Anyhow Ioseliani does not look like the prisoner doomed to death who had not been deprived of the respective privileges of the member of the authorities. On his name is still registered the governmental dacha. What if his former apartments are now occupied by the Speaker of the Parliament Mr. Eldar Shengelaia? To improve the health of Ioseliani the three room dacha which has been allotted to one of the organizers of the terrorist attempt on the life of Shevardnadze instead of the previous one will temporarily suffice.

The paradoxes fireworks are never over in Georgia

Shevrardnadze does need the Ioselianies until he has some difficulties, until he does not feel himself stable enough in holding the reigns of the power in the country which he had made to surrender using rough violence and open terror, until the slightest danger threatens the strength of his positions.

The time for final verdict for Jaba Ioseliani has not come yet.

გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერია 0441
იბეჭდება ს/ს კეგელში

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia